საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-29/ნ
2013 წლის 23 ივლისი

ქ. თბილისი

,,შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით (სსმ III, №9, 20/01/2003 წ., მუხლი 86) დამტკიცებული დანართი №1-ის (ინსტრუქცია შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" და ,,ბ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) მექანიკური სავარძელი-ეტლი:

ა.ა) გულის ქრონიკული უკმარისობა III ხარისხის;

ა.ბ) ფილტვ-გულის ქრონიკული უკმარისობა III ხარისხის;

ა.გ) ჰემიპლეგია, მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზი, ქვედა პარაპლეგია, მკვეთრად გამოხატული ქვედა პარაპარეზი, ტრიპლეგია, მკვეთრად გამოხატული ტრიპარეზი, ტეტრაპლეგია, მკვეთრად გამოხატული ტეტრაპარეზი, მიოპათიები, მოძრაობის მკვეთრად გამოხატული მოშლით;

ა.დ) მკვეთრად გამოხატული ატაქსია, ჰიპერკინეზული ან ამიოსტატიკური სინდრომი;

ა.ე) ორივე წვივის ტაკვი ან უფრო მაღალი დონის ამპუტაციები;

ა.ვ) ორივე ქვედა კიდურის მსხვილი სახსრების (ორი ან მეტი) ანკილოზი ან მკვეთრი კონტრაქტურა;

ა.ზ) წვივის ტაკვი, შერწყმული მეორე ქვედა კიდურის ფუნქციის მნიშვნელოვნად გამოხატულ დარღვევასთან.

ბ) ელექტრო ან მექანიკური სავარძელ-ეტლი:

ბ.ა) ტრიპლეგია ზედა კიდურის ფუნქციის შენარჩუნებით;

ბ.ბ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული ტრიპარეზი ზედა კიდურის ფუნქციის შენარჩუნებით;

ბ.გ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული ტეტრაპარეზი მტევნის მინიმალური ფუნქციის შენარჩუნებით;

ბ.დ) ქვედა პარაპლეგია შერწყმული ზედა კიდურის (მტევნის ან უფრო მაღალი დონის) ამპუტაციასთან;

ბ.ე) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული ქვედა პარაპარეზი შერწყმული ზედა კიდურის (მტევნის ან უფრო მაღალი დონის) ამპუტაციასთან;

ბ.ვ) ორივე წვივის ტაკვი ან უფრო მაღალი დონის ამპუტაციები შერწყმული ზედა კიდურის (მტევნის ან უფრო მაღალი დონის) ამპუტაციასთან.".

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **დავით სერგეენკო**